პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 224 (4218)

1970 წ. 15 ნოემბერი. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გეგმა განაღდებულია

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა 7 ნოემბრისთვის გადაჭარბებით შეასრულა მაღალი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების წლიური გეგმავალდებულება.

11 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადებულია 18, 70 პირველთანრიგოსნის ნაცვლად — 74.

დოც. ვ. სამსონაძე,
ინსტიტუტის რექტორი.

## ზეიმი კაცხის სვეტთან



„ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი, მის კლდის თხემზე არის ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალის კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღვსლისა“.

ვახუშტი ბაგრატიონი.

შემოდგომას თავისი მდიდარი ფერებიც შეუმატებია იმერეთის ამ ულამაზესი კუთხისთვის. ყვირილის ხეობის ფერდობები... შინდისა და ღვიის წითლად აფერადებულ ბუჩქებს მზეზე თითქოს ცეცხლი უკიდიათ. ქალაქი ჭიათურა — ჰაერში ობობას ქსელივით გაბმული საბაგირო გზები, რუხი კლდეები, ახალი, მრავალსართულიანი ნაგებობანი, მღვიმევის მონასტერი — კლდეში გამოკვეთილ ქვაბულში შედგმული, მარმაშივით ნაქსოვი ჩუქურთმებით, ხის აივანი და კლდეში ნაკვეთი კიბეები, ქვევით კი, გზატკეცილზე, საჩხერისკენ მიმავალი ტროლეიბუსი ძველისა და ახლის უჩვეულო კონტრასტებს ქმნის და საოცარ იერს აძლევს აქაურობას.

მანქანები ზლაზვნით მიჰყვებიან აღმართს სოფელ კაცხისკენ — ზღაპრად ქცეული კაცხის სვეტისკენ. მანამდე კი მზერა XI საუკუნის ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლისკენ — კაცხის ეკლესიისკენ მიიპარება.

უჩვეულო დღეა სოფელ კაცხში. ვიწრო ბილიკზე ხალხი უწყვეტ ნაკადად მიიწევს ზევით — ცალკე მდგომი 40-50 მეტრის სიმაღლის ქვის სვეტისკენ — ბუნებისგან წარმოქმნილი საოცრებისკენ.

სვეტის თავზე შემოდგომის სიო აფრიალებს მზის სხივებში აელვარებულ 25 წითელ დროშას. სვეტის ძირში სახელდახელო ტრიბუნა მოუწყვიათ. წითელყელსახვევიანი, სახეგაბრწყინებული მოსწავლეები ამ შეკრებას უფრო საზეიმო იერს აძლევენ. აქვე არიან გამოჩენილი მთამსვლელი ქალი ალექსანდრე ჯაფარიძე, მისი მახლობლები, მთამსვლელები თბილისიდან, ქუთაისიდან...

კაცხის სვეტის ძირში დღეს ჭიათურის საზოგადოება ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ თარიღს აღნიშნავს: კაცხის სვეტზე პირველი ასვლის 25 და ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითის მკვიდრის, გამოჩენილი საბჭოთა მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის დაბადების 70 წლისთავს.

25 წლის წინათ ამ არემარეს ოთხი თბილისელი მთამსვლელი ეწვია. ესენი იყვნენ დღეს ყველასთვის კარგად ცნობილი მწერლები ლევან გოთუა და აკაკი ბელიაშვილი, გამოჩენილი საბჭოთა მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე და ხუროთმოძღვარი ვახტანგ ცინცაძე.

გარდა სპორტული მისწრაფებისა, ოთხივეს კაცხის სვეტის საიდუმლოების ახსნაც იზიდავდა. კაცხის სვეტი, რომელსაც სვიმონ მესვეტის სახელს უკავშირებენ, იმერეთში კარგადაა ცნობილი. წარსულში ამ სვეტის ძირში ბევრი მლოცველი იყრიდა თავს, დღეობაც იცოდნენ.

ელვასავით მოედო გარშემო სოფლებს ოთხი გაბედული მთამსვლელის ამბავი. მოხუცები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ისინი, რომ სვეტზე ამსვლელთ ღმერთი დაუსჯელთ არ დატოვებდა. ახალგაზრდები კი, პირიქით, მხარს უბამდნენ ენთუზიასტებს. საოცარი სანახავი იყო იმ დღეს კაცხის სვეტი. მთამსვლური ტექნიკის გამოყენებით, თოკის კიბეებით, რკინის პალოებით სალ კლდეზე ფრთხილად მიცოცავდა კავკასიონის მწვერვალების დამპყრობი, გამოჩენილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე. პირველმა მან შედგა ფეხი სვეტის თავზე.

ჯაფარიძეს სხვებიც მიჰყვნენ. ბოლოს სვეტზე ამოჩნდა ორი ახალგაზრდა პიონერთა ბანაკიდან — შუტუ ფოფხაძე და ალექსანდრე კუპატაძე. სვეტის თავისკენ გზა იპოვეს და გაკვალეს. სვეტის ძირში, კლდეზე ამოკვეთილმა ეგრეთ წოდებულმა ბოლნისის ჯვარმა, სვეტის თავზე ეკლესიების ნაგებობათა ნაშთებმა, აკლდამამ, ბრინჯაოსა და კერამიკის ნივთებმა მკვლევარებს საშუალება მისცა კაცხის სვეტი V-VI საუკუნეებით დაეთარიღებინათ.

ამის შემდეგ იყო, რომ ჭიათურელმა ახალგაზრდობამ მოაწყო ასვლები როგორც კაცხის სვეტზე, ისე მიუვალ გამოქვაბულებში, მოახდინა ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი ჯაფარიძეების ოჯახი გახლდათ.

კაცხის სვეტზე ასვლა თითქოს ერთგვარი პროლოგი იყო დღეს ყველასთვის კარგად ცნობილი, მთამსვლელობის ერთ-ერთი საინტერესო სახეობის — კლდეზე ცოცვისა. ალიოშა, ალექსანდრა და ნოე ჯაფარიძეების ხელმძღვანელობამ და უშუალო მონაწილეობამ ხვამლის, ტვიშის, ბეთლემისა და ჭიათურის გამოქვაბულების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის წარსულის ამოუცნობი ფურცლების ახსნაში, მთამსვლელობა კიდევ ერთხელ ჩააყენა მეცნიერების სამსახურში.

და როგორც ლევან გოთუა „კაცხის სვეტის საიდუმლოებაში“ წერს: „როცა ჟამთა სიღრმეებს ასე უშუალოდ და თვალ და ხელ შეეხებით, არის ამაში რაღაც გამოუთქმელად უცნაური, ადამიანის გამოუცნობი სტიქიიდან იდუმალი გრძნობა ამოდის, აზრებსა და ფიქრებს ეუფლება და შენ გრძნობ, რომ შენზე უფრო უმჯობესი ხარ, შენზე უფრო მაღალი, შენზე ზვიადი, შენზე უფრო უკვდავი თითქოს“.

დ. გოზალიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. კაცხი.

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს კალათბურთელთა სკოლის ღია პირველობაში, რომელიც ამას წინათ თბილისში ჩატარდა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (1953-1959 წლებში დაბადებულნი) 38 გუნდი ასპარეზობდა.

თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე ამ სკოლამ აღზარდა სპორტის ოსტატები მ. ქორქია, ბ. ბოლქვაძე, ზ. ქარაბაკი, თ. ნარიმანიძე, ნ. კასრაძე და ვ. ქუთათელაძე, ისინი უმცროს მეგობრებთან, ამავე სკოლაში აღზრდილ პირველთანრიგოსნებთან ნ. ჭეიშვილთან, შ. იაქაშვილთან, თ. ბარამიძესთან, დ. ლეჟავასთან ერთად ემზადებიან მორიგ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლის აღზრდილთა შორის არიან ჩვენი ცნობილი კალათბურთელების შვილები: ო. ქორქიას ვაჟი ნოდარი, ა. კილაძის ვაჟი ალექსანდრე. აქ კალათბურთის ოსტატობას ეუფლებიან აგრეთვე ნ. ჯორჯიკიას ვაჟი კოკა, ჯ. ნიჟარაძის ვაჟი გია და ლ. ინწკირველის ვაჟი ვლადიმერი.

... ტურნირში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 53-ე წლისთავს მიეძღვნა და რომელშიც 270-ზე მეტი ნორჩი კალათბურთელი ასპარეზობდა, გაიმარჯვა „დინამოს“ სკოლის გუნდმა. ბევრმა მომავალმა ოსტატმა კარგი მომზადება გამოავლინა. ქების ღირსნი არიან 12 წლის ა. ჩაველეიშვილი, ს. კანდელაკი, 13 წლის ა. ხომერიკი, რომლის სიმაღლეც 188 სმ-ია. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, აგრეთვე, 15 წლის კ. კახიანმა (194 სმ), ვ. ქარსელაძემ (191 სმ), ბ. სავოსტიანოვმა

## მამათა კვალზე

(196 სმ), ა. მეტრეველმა (188 სმ), რომლებსაც ახლო მომავალში „დინამოს“ ოსტატთა გუნდის წევრებთან ი. ნარიმანიძესთან და ა. სალაყაიასთან ერთად ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატში მოუწევთ თამაში.

ხაზი მინდა გავუსვა „დინამოს“ იუნიორთა წარმატებასაც, რომლებმაც წლეულს სექტემბრის მიწურულს საზოგადოების ახალგაზრდული გუნდების ტურნირი მოიგეს. სხვათა შორის, ისინი მუდამ წარმატებით გამოდიან საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ეს წარმატება, პირველ ყოვლისა, სკოლის მწვრთნელთა კოლექტივის დამსახურება და ნორჩ კალათბურთელთა დიდი მონდომების შედეგია. სწორედ ეს მაძლევს უფლებას ვთქვა, რომ ჩვენი კალათბურთელები მომავალშიც გამოიჩენენ თავს და არ შეარცხვენენ თავიანთი უფროსი კოლეგების სახელს.

ლ. ინწკირველი,
თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა სკოლის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**როცა გაზეთი დასაბეჭდად გზად იყო... 19⁴⁵**

◆ ნოვოპოლოცკი, 14 ნოემბერი. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ტურნირში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა მორიგ შეხვედრაში ბელორუსიის კოლექტივი დაამარცხა — 25:18. სომხეთის სპორტსმენებმა მოუგეს თურქმენეთის გუნდს — 20:19. გამარჯვებულები ფინალში გავიდნენ. ლუცკში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: I ჯგუფში. მოლდავეთი — რსფსრ 22:14, ლიტვა — ყირგიზეთი 29:14; II ჯგუფში. ლატვია — ყაზახეთი 34:19, უკრაინა — ესტონეთი 22:17.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).



სპორტის ოსტატი ი. კოზელსკი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი თარჯმორბენალია. მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადებისას მან საუკეთესო პირად შედეგებს მიაღწია — 200 და 400 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარა, სსრ კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა, მაგრამ მეხიკოში ფეხის ტკივილის გამო ვერ წავიდა.

კოზელსკი ენერგიულად ემზადება საკავშირო სპარტაკიადისთვის. წლეულს მან უკვე რამდენიმე შეჯიბრება მოიგო, მათ შორის, „იზვესტიის“ პრიზის გათამაშებაც.

სურათზე: ი. კოზელსკი (წინა პლანზე) ასპარეზობისას.

თ. გელაშვილის ფოტო.

## ერთ-ერთი მიზეზი...

— როგორ წავა საქმე, არ ვიცი, ბიძია. ახალგაზრდები სოფელში აღარ ჩერდებიან და...

— ჩვენს ბრიგადაში არც ერთი ახალგაზრდა აღარ დარჩა, ყველამ ორმოცდაათს გადავაბიჯეთ.

— ჰოდა, ჩვენ სამოცდაათს რომ გადავაბიჯებთ, მაშინ ვინ იმუშავებს კოლმეურნეობაში?

ასეთი დიალოგი არა ერთ და ორ სოფელში მომისმენია. მართლაც საჭირბოროტო საკითხია.

წინათ სოფლის ახალგაზრდები მუყაითად შრომობდნენ, სოფლის საკეთილდღეოდ ილვწოდნენ, ყველა ქალაქში კი არ გარბოდა. სად იყო მაშინ სოფლად ამდენი სკოლა, კულტურის კერა, მაგრამ მაინც... მაშ, რა იყო?

ხალხს უყვარდა სპორტი, ჭიდაობა, ბურთაობა, ისრის ტყორცნა, ცხენით ჯირითი... ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. შრომით დაღლილნი იკაჟებდნენ სხეულს, ერთობოდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ...

ახლა? ახლა, ცხადია, უკეთესი პირობებია შექმნილი საამისოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ სოფელში სრულიად არ აქცევენ სპორტს ყურადღებას, აშენებენ კი არა, ანადგურებენ უწინ გაკეთებულ მოედნებს. დავასახელოთ მაგალითები.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერაში გაჩაღებულ ფიზკულტურულ მუშაობაზე რაიონის ფარგლებს გარეთაც იცოდნენ. ლეჩხუმის შორეული სოფლებიდან ჩამოსახლებული ახალგაზრდები აქ ხარბად ეწაფებოდნენ სპორტს. მათს გატაცებას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე გ. მეშველიანი და პარტბიუროს მდივანი შ. ლეთოდიანი. როგორც გამგეობის, ისე პარტბიუროს სხდომებზე ხშირად მსჯელობდნენ ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაზე.

ეს იყო წინათ. ახლა აღნიშნული კოლმეურნეობა სოფელ არადუს მეცხოველეობა-მებოსტნეობის მეურნეობას შეუერთეს და ფიზკულტურული საქმიანობაც ჩაკვდა: მოედნები გაუქმდა, სპორტული სექციებისთვის აღარავის სცალია, ცენტრმა არადუში გადაინაცვლა, მაგრამ იქ არავინ იწუხებს თავს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

ცაგერაში მცხოვრები 200 კომლიდან 220-ზე მეტი ახალგაზრდა მოსწყდა სპორტს. ხანდახან მეურნეობის სატვირთო მანქანა ჩამოივლის, ახალგაზრდებს გადმოსძახებენ: ვინც კომკავშირელია, კრებაზე იბარებენო. ეს არის და ეს. რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდებს ქალაქისკენ მიუწევდეთ გული.

... აქ ერთ დროს ყოფილა ფეხბურთის მინდორი — ნიშანი იმისა, რომ თურმე წინათ ფოშქვეშელებსაც ჰყვარებიათ სპორტი. ახლა ამ სარბიელისგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა.

მსგავსი ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ორი სურათიც ნათლად მეტყველებს, რომ ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთ სოფელში ფიზკულტურული მუშაობა მოდუნდა. ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ახალგაზრდებს სოფლად გული აღარ უდგებათ.

პ. ლეთოდიანი.
ოჩამჩირის რაიონი.

# სიხარული და სინანული


ეროვნული ბიბლიოთეკა

რანგთა ახალი ტაბელი, რომელიც ტანმოვარჯიშეთა ლიუბლიანის მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა მიუკერძოებელი ოქმებით იქნა დადგენილი, ძალაში შევიდა. ოთხწლიანი უფლებამოსილება, რაც ამ ტაბელს მსოფლიოს ტურნირების რეგლამენტმა მიანიჭა, აბსოლუტურად უნდა ჩაითვალოს ტანმოვარჯიშეთა შემდეგი ფორუმის დაწყებამდე. მაგრამ სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების მკაცრი თანმიმდევრული ნუმერაცია, რომელიც ლიუბლიანის ფიცარნაგზე წარმოებდა, თუმცა ასახავს დღევანდელი ტანვარჯიშის ნამდვილ მდგომარეობას, მაგრამ მაინც ჩემპიონატის მხოლოდ ფორმალურ შედეგს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი დიდი სპორტული შეჯიბრების მთავარი ღირსება მდგომარეობს მის შემოქმედებით მხარეში, მომავლისკენ მიზანსწრაფვაში, შემდგომი პროგრესის გზების წინასწარ ამოცნობის შესაძლებლობაში.

ლიუბლიანის ხუთმა დღემ ბევრ შეკითხვაზე გვიპასუხა. მაგრამ ამ დღეებმა დასვეს ახალი შეკითხვებიც, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო იქნება დაძაბული შრომა უახლოესი ოთხი წლის მანძილზე.

ამრიგად, ფორმალურად თითქმის არაფერი შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, ისევე როგორც ორი წლის წინ, ტანმოვარჯიშეთა უკანასკნელ დიდ შეჯიბრებაში — მეხიკოს ოლიმპიადის ტურნირში უძლიერესი გუნდები ისევ I ადგილზე გავიდნენ. საბჭოთა ქალების გუნდმა და იაპონიის ვაჟთა ნაკრებმა კვლავ ჩემპიონთა ოქროს მედლები მიიღეს. სსრ კავშირის ვაჟებმა ისევ კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს.

როგორც ხედავთ, ყველაფერი თავის ადგილზეა. სენსაციები არ მოხდა. მაგრამ რაოდენ მაცდურია ეს გარეგნული სიმშვიდე! რათა ყოველივე ამაში გაერკვე, სწორი მიმართულება იპოვნო, საჭიროა დიდი დროც, ბევრი ფიქრიცა და ფასეულობათა ხელახალი შეფასებაც. ტრადიციულმა შედარებამ: გუშინ, დღეს, ხვალ, ლიუბლიანაში აშკარად მომავლის უპირატესობა დაგვანახა, უფრო სწორად, მომავლის სასარგებლოდ გადაწყვიტა საკითხი. მსოფლიოს მოწინავე ტანვარჯიშული სკოლების წარმომადგენელთა კლასმა ისეთი შესამჩნევი ცვლილებები განიცადა უკეთესისკენ, რომ ამიერიდან უძლიერესთა დავა აღარ იქცევა მხოლოდ იაპონიისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები კოლექტივების ან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთა გუნდების ბრძოლად. მისი საზღვრები გაფართოვდა. ხმის უფლება მიიღეს გდრ-ის, იუგოსლავიის, ამერიკის შეერთებული შტატების ტანმოვარჯიშეებმა, იაპონიის ქალთა ნაკრებმა, პოლონეთის, ფინეთისა და შვეიცარიის ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა. ლიუბლიანაში ჩვენ მხოლოდ მათ რეპლიკებს მოვუსმინეთ, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, რაოდენ მოფიქრებულად და მარჯვედ ავარჯიშებენ ისინი ხმას.

რვაწლიანი შესვენების შემდეგ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა დაიბრუნა უძლიერესის სახელი გუნდურ და პირად ჩათვლაში. ეს უდავო წარმატებაა, მით უმეტეს, რომ დორტმუნდის ჩემპიონატისგან განსხვავებით, საბჭოთა ტანვარჯიში სარბიელზე წარსდგა სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომელნიც ჯერ მხოლოდ სპორტული გზის სათავესთან დგანან. გამარჯვება ოლიმპიურ თამაშებში და ლიუბლიანის ჩემპიონატის დამაჯერებლად მოგება საბჭოთა ქალთა ტანვარჯიშის სოლიდურ პოტენციალზე, მომზადების მეთოდების სისწორეზე, შემოქმედებითი ძიების სიფართოვესა და მიზანდასახულობაზე მეტყველებს.

გამოცდილმა, ტანვარჯიშის გატაცებით მოყვარულმა ლ. ლატინინამ, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეერჩია საოცრად თანაბარი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეგობრული შემადგენლობა, შეძლო ისეთი ნორჩი სპორტსმენების აღზრდა, რომელთაც სჯეროდათ საკუთარი თავისა და მებრძოლი ხასიათი ჰქონდათ. პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებმა ახალ ჩემპიონს ლ. ტურიშჩევას ჰკითხეს, ვინ ითვლებოდა საბჭოთა გუნდში ლიდერად, ვისზე ამყარებდნენ ყველაზე მეტად იმედს მწვრთნელები? მან უპასუხა: „ყოველ ჩვენგანს შეეძლო მოგება. ჩვენ ერთმანეთის გულშემატკივრები ვიყავით. თითოეული გრძნობდა ამხანაგის მხარდაჭერას. და მხოლოდ ერთზე — ჩემპიონობის დაბრუნებაზე ფიქრობდა".

და აი, ისინიც, ჩემპიონები — საბჭოთა ქალთა ტანვარჯიშის ახალი ტალღა. ეს გოგონები დიდ ფიცარნაგზე ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ გამოჩნდნენ. ხანგრძლივი ექვსი წლის განმავლობაში ისინი ხშირად გვისახავდნენ იმედს და ეჭვის საბაბსაც გვაძლევდნენ. ახლა კი სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ მათ უდავოდ მოიპოვეს საერთაშორისო აღიარების უფლება.

შესანიშნავი საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მ. გოროხოვსკაიას, გ. შამრაის, ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, თ. მანინას, ს. მურატოვას ტრადიციები ნორჩთა ოსტატობაში აღორძინდა. გამარჯვება ლიუბლიანაში მარტო დღევანდელი წარმატების თვალსაზრისით როდი უნდა შეფასდეს. იგი მომავალი გამარჯვებების საფუძვლად უნდა იქცეს. ლ. ტურიშჩევას, ლ. პეტრიკის, ო. კარასიოვას, ლ. ბურდას, ზ. ვორონინას, თ. ლაზაკოვიჩის, აგრეთვე, მათს ზურგს უკან მდგომი ო. კორბუტისა და რ. სიხარულიძის ახალგაზრდობა და შესაშური კლასი საუკეთესო საძირკველია, რომელზეც ახალი წარმატებების სართულები უნდა აღიმართოს.

ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, როცა ლატინინა ის-ის იყო დანიშნეს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელად, მე მას ვკითხე:

— რით ხართ ამჟამად დაკავებული?

— სიხარულის ძიებით, — მიპასუხა მწვრთნელმა. — მინდა, რომ ქალთა ტანვარჯიშმა გული არ ატკინოს მის თაყვანისმცემლებს. მსურს დავამტკიცო, რომ დორტმუნდის მარცხი შემთხვევითი იყო.

მართლაც, ოთხი წლის შემდეგ ჩვენ სიხარულით შევხვდით საბჭოთა ქალიშვილების გამარჯვებას. ვფიქრობ, მართალი არ იყო ლატინინა, წინა ჩემპიონატში ჩვენი მარცხი შემთხვევითობას რომ მიაწერა. აქ იყო რაღაც კანონზომიერება, რადგან მაშინდელი ასპარეზობის ვადები საბჭოთა ტანვარჯიშში თაობათა ცვლის პროცესს, დადგენილი დოგმების ხელახალ შეფასებას დაემთხვა. ლიუბლიანამ ყველას აჩვენა სამამულო ტანვარჯიშის რეკონსტრუქციების შედეგები, მისი ახალი სახე, რომელიც მიმზიდველიც აღმოჩნდა და საკმაოდ ნებისყოფიანიც.

რასაკვირველია, თუ გონების თვალით გადავხედავთ ლიუბლიანის ჩემპიონატის ფურცლებს, შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგიერთი ფავორიტის საწყენი მარცხის შესახებ იარაღებზე, ბევრ განუხორციელებელ იმედზე. ყველაფერი ეს იყო ბრძოლის დრამატულ სიუჟეტში, ყველაფერი ეს საერთოდ დამახასიათებელია სპორტისთვის. ამ ტრაგედიების მსხვერპლი გახდნენ ევროპის ჩემპიონი, გდრ-ის ტანმოვარჯიშე კ. იანცი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ბურდა, თ. ლაზაკოვიჩი. მაგრამ შემთხვევითი წარუმატებლობა არასოდეს იქცევა შემთხვევითი წარმატების არგუმენტად. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გამარჯვება და ლ. ტურიშჩევას დიდი ოქროს მედალი სპორტული ბრძოლის კანონების, კლასის უპირატესობის, სტაბილობის შედეგია.

ჩემპიონატის გმირმა, 18 წლის გროზნოელმა სტუდენტმა ტურიშჩევამ იუგოსლავიიდან ჩამოიტანა ჯილდოების ყველაზე სოლიდური კოლექცია: ოქროს მედალი აბსოლუტური პირველობისთვის, მცირე ოქროს მედალი თავისუფალ ვარჯიშში, ვერცხლის ჯილდო ორძელზე კომბინაციისთვის და ბრინჯაოს მედალი ბჯენით ხტომებისთვის. ბრინჯაოს სამი მედალი მიიღო ვორონინამ — მრავალჭიდში, თავისუფალ ვარჯიშში და ორძელზე. ბრინჯაოს თითო ჯილდო მიიღეს პეტრიკმა და ბურდამ — ბჯენით ხტომებში და დგირზე კომბინაციისთვის.

როგორც ხედავთ, საკმაოდ უხვი მოსავალია.

ქალთა ტანვარჯიშში მომხდარი ცვლილებები საპატიო კვარცხლბეკის მხოლოდ პირველ საფეხურს როდი შეეხო. ფავორიტები, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის წევრები მესამე საფეხურზე გადასწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სწრაფად მზარდმა ტანმოვარჯიშეებმა, რომელთაც სათავეში ედგნენ ე. ცუპოლდი და კ. იანცი. ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, რომელთაც აკლდათ ვ. ჩასლავსკა, III ადგილს დასჯერდნენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრებმა კოლექტივებმა, იაპონიის გუნდმა, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთმა ტანმოვარჯიშე ქალმა. მათთან მოგება ძნელი იყო და გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია.

რამდენადაც სასიხარულო იყო სსრ კავშირის ქალთა ნაკრების გამარჯვება, იმდენად საწყენი გამოდგა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟების წარუმატებლობა. უკანასკნელი შეხვედრების შემდეგ თითქოს არაფერი არ შეცვლილა, იაპონელები კვლავ I ადგილზე გავიდნენ, საბჭოთა სპორტსმენები — მეორეზე.

6,75 ქულა — ასეთია სხვაობა ამ ორ გუნდს შორის. თუ სპორტული ტანვარჯიშის კატეგორიებით ვიმსჯელებთ, ეს მთელი უფსკრულია, ღრმა უფსკრული, რომელიც ხიდების აღმართვასა და წინდახედულ წვრთნას მოითხოვს. ოლიმპიადის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე ეს დისტანცია მთელი 2 ქულით გაიზარდა. როცა ლაპარაკია მსოფლიოს ორი წამყვანი „სატანვარჯიშო" ქვეყნის ჭიდილზე, ეს მეტისმეტად ბევრია. თანაც, ამჯერად საბჭოთა ტანვარჯიშმა დათმო არა მარტო გუნდური პირველობა, არამედ პირადიც, დაკარგა ოქროს მედლები მრავალჭიდის ექვსივე იარაღზე.

ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტმა, 22 წლის ვ. კენმოცუმ იაპონიას მოუტანა ტანვარჯიშში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს პირველი მედალი. მ. ცუკახარა და ა. ნაკაიამა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ვორონინი მხოლოდ მეოთხე იყო. რასაკვირველია, როცა ვლაპარაკობთ ვორონინის აშკარა წარუმატებლობაზე, ახლა ბევრი რამ შეიძლება ითქვას. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ საბჭოთა ჩემპიონი სავალდებულო პროგრამაში „ცხენს იოლად შეკაზმავდა", ხოლო ნებისმიერი პროგრამის თავისუფალ ვარჯიშში წონასწორობას არ დაკარგავდა, იგი შეიძლება ჩემპიონი ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ სპორტში ამ „ხერხით" ვერას გახდები. თანაც, მე მიმაჩნია, რომ ვორონინს ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის საყვედური. იგი ასეთ არახელსაყრელ სიტუაციაშიც საუკეთესო იყო საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს შორის, მუდამ ბოლომდე და შეუპოვრად იბრძოდა. პარტნიორებმა კი ვორონინს მხარი ვერ აუბეს. გამონაკლისია მხოლოდ ვ. კლიმენკო, რომელმაც ნიჭიერ ტანმოვარჯიშედ და ნამდვილ მებრძოლად გაგვაცნო თავი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ეს მერამდენედ უნდა ეზიდა მარტოდმარტოს უდიდესი ფიზიკური და ნერვული დაძაბულობის ტვირთი (აქ უნებურად გვახსენდება საბჭოთა ქალიშვილების მეგობრული გუნდი!). რაღა გასაკვირია ვორონინის მარცხი? წარუმატებლობისგან არავინაა დაზღვეული, ჩემპიონიც კი.

ვაჟთა ტურნირმა დაადასტურა არა იმდენად იაპონური სკოლის უპირატესობა, რამდენადაც საბჭოთა სკოლის აშკარა ჩამორჩენა. ამ სამწუხარო შედეგს საფუძვლად ობიექტური მიზეზები უდევს. ლიუბლიანამ ნათლად გვიჩვენა იმ რეციდივების საშიშროება, რაც ბოლო წლებში საბჭოთა ტანვარჯიშის პრაქტიკის იზოლირებამ და კარჩაკეტილობამ გამოიწვია: ის, რაც საკუთარ კედლებში თითქმის აღმოჩენას ჰგავდა, შემოწმებისას მოძველებული აღმოჩნდა. ასეა, თუ ტანვარჯიშის კომბინაციებს შევაფასებთ სირთულის იმ მაღალი საზომით, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატში იაპონელებმა შემოგვთავაზეს.

ლიუბლიანის ტურნირი მკაცრი გაკვეთილი იყო. მან სერიოზული შეკითხვა დასვა და ჩვენ უფლება არა გვაქვს ამ შეკითხვაზე მხოლოდ ზერელე პასუხით შემოვიფარგლოთ. მხოლოდ შეცდომების დაწვრილებითი ანალიზი და კარდინალური ზომები მოგვიტანს სარგებლობას, ხელს შეუწყობს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟებს სალიდერო პოზიციების დაბრუნებაში.

ა. მარიამოვი.

* * *

სურათზე: კ. იანცი ორძელზე ასპარეზობისას.

# ახალ ამპლუაში

ადრე თუ გვიან ყველა სპორტსმენი ტოვებს ასპარეზს. ძნელია, ძალიან ძნელია ჩამოშორდე საყვარელ საქმიანობას, რომელსაც წლების მანძილზე უანგაროდ, ერთგულად ემსახურებოდი. მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა სპორტსმენი მაინც ტოვებს სარბიელს...

არანაკლებ მძაფრია ცნობილ სპორტსმენთან განშორების სინანული მისი გულშემატკივრებისთვის. იყო ხალხის საყვარელი სპორტსმენი — ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ერთ-ერთი მათგანია ქართული ჩოგბურთის სახელოვანი წარმომადგენელი, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი რენა აბჟანდაძე. ამ მოხდენილ, შავგვრემან ქალს შესანიშნავად იცნობენ სპორტის მოყვარულები. მას არაერთხელ გაუხარებია გულშემატკივრები რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული გამარჯვებით.

აგურისფერი კორტები, ჩოგბურთის პაწაწინა ბურთი რენას უპირველესი გატაცება იყო. მისი სპორტული გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იშვიათი გულმოდგინებითა და ნებისყოფით მიილტვოდა რენა მიზნისკენ და შრომა სათანადოდ დაუფასდა კიდეც: იგი ბევრჯერ აღიარეს სსრ კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად.

... ადრე თუ გვიან ყველა სპორტსმენი ტოვებს ასპარეზს. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მუდამ ძნელია. ძნელი იყო აბჟანდაძისთვისაც. მისთვის ალბათ წარმოუდგენელია, როგორ უნდა უყუროს საჩოგბურთო ბატალიებს ტრიბუნებიდან, როგორ უნდა დათმოს მძაფრი, შეუპოვარი ბრძოლებით მინიჭებული სიამოვნება...

მაგრამ რენას არც უფიქრია ჩოგბურთის მიტოვება. უბრალოდ, ამიერიდან მას ვეღარ ვიხილავთ დიდ შეჯიბრებებში მოასპარეზეს. სამაგიეროდ, იგი მისთვის დამახასიათებელი მეყაითობითა და მონდომებით გადასცემს მდიდარ გამოცდილებას ახალბედა დინამოელ ჩოგბურთელებს.

რენა აბჟანდაძემ უკვე ჩაატარა პირველი გაკვეთილები. მისი სპორტული გზა თითქოს ხელახლა დაიწყო. თავისი ნორჩი აღსაზრდელების გამარჯვებებში რენა იპოვის იმ სიხარულს, რომელიც დიდი სპორტის მიტოვებით გამოწვეულ სინანულს გაუქარვებს.

ბ. გოგელია.



სურათზე: რ. აბჟანდაძე ნორჩებთან მეცადინეობის დროს.

დ. მძინარიშვილის ფოტო.

„ლელოს" წერილების კვალდაკვალ

## მშენებლობა გაგრძელდება

„ლელოს" 1 აგვისტოს ნომერში რუბრიკით „ლახტის წრეში" დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქუთაისის განათლების განყოფილების 25-მეტრიანი საცურაო აუზის გაჭიანურებულ მშენებლობაზე.

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ახვლედიანი გვატყობინებს, რომ აუზის მშენებლობა შეჩერდა მექანიკური ფილტრების უქონლობის გამო. ამას წინათ ეს საკითხი განიხილა საქართველოს სსრ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ მომარაგების განყოფილებას დაავალა მშენებლობა სასწრაფოდ უზრუნველყოს მექანიკური ფილტრებითა და სხვა ტექნიკური მოწყობილობით.

მოწყობილობის მიღებისთანავე მშენებლობა გაგრძელდება.

1970 ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

# საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

„არარატისა“ და „ნევთჩის“ შეხვედრაში მინდორზე ატეხილი ჩხუბისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბაქოელი ბაბაევი და ერევნელი კაზანჩიანი. ორივე ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცა 5-5 თამაშით. ეს სასჯელი, რა თქმა უნდა, ძალაში შევა 1971 წლის კალენდარულ მატჩებში.

სასტიკი გაფრთხილება მიეცა „ნევთჩის“ თავდამსხმელს შევჩენკოს.

ჩემპიონატის ბოლო მატჩში (ცსკა — „ნევთჩი“) მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ბაქოელი ყულიევი და არმიელი კოპეიკინი. სპორტტექნიკურმა კომისიამ ორივე ფეხბურთელს მკაცრი საყვედური გამოუცხადა.

განხილულ იქნა, აგრეთვე, დუბლიორთა ტურნირთან დაკავშირებული საკითხები. სპორტტექნიკურმა კომისიამ ჩათვალა, რომ საპატიო მიზეზით არ იქნა ჩატარებული შემდეგი შეხვედრები: „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი).

„ჩერნომორეცის“ დუბლიორებს წაგება ჩაეთვალათ „არარატთან“ გამოუცხადებლობისთვის. წაგება ჩაეთვალათ ქუთაისის ტორპედოელებსა და „ზენიტს“, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდნენ ერთმანეთთან სათამაშოდ.

II ჯგუფი

II ზონა

# გამარჯვებით დაამთავრა

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 13 ნოემბერი.

„დინამო“ (ბათუმი)—„დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0 (0:0).

„დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, სირბილაძე, გიორგიაძე, ილურიძე, ქორიძე, ესებუა, ვახ. კვიტაიშვილი (ვაჟ. კვიტაიშვილი), ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

„დრუჟბა“: დარვინი, სიომინი, მახიბოროდა, ჩორნი, ბელკოვი, ფილატოვი, ივანენკო, მანაშეროვი, კისელიოვი, პახომოვი, ფახლევანიანი.

მსაჯი ივ. მაჩალინი (დონის როსტოვი).

ბათუმელთა ამ სარევანშო მატჩს (პირველ წრეში ისინი მაიკოპში დამარცხდნენ — 0:2) ავდარი დაესწრო: წვიმას არ გადაუღია. მაგრამ დინამოელები არც წვიმას შეუშინდნენ, არც მეტოქეს და, თუ მატჩის მსვლელობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მასპინძლებს უფრო დამაჯერებელი ანგარიშით უნდა გაემარჯვათ. ტაიმი ისე დამთავრდა, ისინი თითქმის არ მოსცილებიან მეტოქის საჯარიმო მოედანს. დინამოელებს ჯერ კიდევ მე-12 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როდესაც, ჩხაიძე — რამიშვილი — ჩხარტიშვილის კომბინაციის შემდეგ „დრუჟბის“ კარი რეალური ხიფათის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ აქ იმარჯვა დარვინმა და აშკარად გადაარჩინა თავისი გუნდი.

ბათუმელთა იერიშები არც მეორე ტაიმში შენელებულა. 61-ე წუთზე გათამაშდა ასეთი კომბინაცია: ჩხაიძე — ესებუა — რამიშვილი — ჩხარტიშვილი. ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა და ბურთი სტუმრების კარის ბადეში აღმოჩნდა.

ამრიგად, ბათუმის „დინამომ“ გამარჯვებით დაამთავრა წლევანდელი გათამაშება.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# სტუდენტები — ქალაქის ჩემპიონები

4 აპრილს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის რეკონსტრუირებულ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა წლევანდელი საქალაქო ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ფაბრიკა-ქარხნების, საწარმო-დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების 28 გუნდი.

ასპარეზობამ 2 ნოემბრამდე გასტანა. იგი კარგად იყო ორგანიზებული. კალენდარი უმთავრესად ზუსტად იქნა დაცული. თამაშებს ემსახურებოდნენ მაღალი კვალიფიკაციის მსაჯთა ბრიგადები.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით იკლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა, იშვიათად ხდებოდა ინციდენტები. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდიუმს და მის სპორტტექნიკურ კომისიას. ფედერაციის სხდომებზე სისტემატურად მსჯელობდნენ გათამაშების მსვლელობაზე, ცალკეული მატჩებისა და მსაჯობის საკითხებზე. დამნაშავენი ღირსეულად ისჯებოდნენ.

ჩემპიონატმა გამოავლინა ახალი კოლექტივები, რომლებმაც შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე წარმართეს, კალენდარული შეხვედრები სტაბილურად ჩაატარეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებათ უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდმა (მწვრთნელები ა. გუკასიანი, ს. მეყანწიშვილი) თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ხოლო II ადგილზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელები (მწვრთნელი ო. ურთქმელიძე) გავიდნენ.

ეს ფაქტი იმითაა სასიამოვნო, რომ ბოლო წლებში თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ფეხბურთს და ბევრი მათგანი, უბრალოდ, თავს არიდებდა საქალაქო გათამაშებაში მონაწილეობას. ახლა უმაღლეს სასწავლებლებში ფეხბურთისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიცვალა და სტუდენტთა გუნდები უკვე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ საქალაქო ჩემპიონატში.

ქების ღირსია მწვრთნელთა სკოლის გუნდი (მწვრთნელი გ. თათარაშვილი), რომელმაც დებიუტანტის პირობაზე საუკეთესო შედეგებს მიაღწია — დაიკავა III ადგილი და გაუსწრო ისეთ გამოცდილ, ძლიერ კოლექტივებს, როგორიც არიან მაუდ-კამვოლის კომბინატის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, უნივერსიტეტის, ელმავალსაშენი ქარხნის გუნდები.

ფიზკულტურის ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მწვრთნელთა სკოლის, მაუდ-კამვოლის კომბინატის, უნივერსიტეტის, ელმავალსაშენი ქარხნის კოლექტივებში გამოვლინდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები, რომელთა რიცხვიდან, იმედია, ახალი ოსტატები აღიზრდებიან.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის მიერ VI ადგილის დაკავებაც.

უხეიროდ დაამთავრა გათამაშება შარშანდელმა ჩემპიონმა, კარგი ტრადიციების მქონე სპორტკლუბ „უშბის“ გუნდმა, რომელმაც მთელი რიგი მატჩები დაბალ დონეზე ჩაატარა და საბოლოოდ მხოლოდ XI ადგილი დაიკავა. სპორტკლუბის ხელმძღვანელობამ კოლექტივის ღირსების აღსადგენად ყველაფერი უნდა იღონოს.

საყვედურის ღირსნი არიან ტაქსომოტორის № 3 კონტორისა და ელექტროძრავის ქარხნის გუნდებიც, რომლებმაც სუსტად ჩაატარეს გათამაშება.

II ჯგუფში 8 გუნდი გამოდიოდა. აქ წარმატებას მიაღწიეს თბილისის დამხმარე მეურნეობათა კომბინატის, სატელეფონო ქსელის სამმართველოს 1-ლი და ტაქსომოტორის № 1 კონტორის გუნდებმა, რომლებმაც შესაბამისად პირველი 3 ადგილი დაიკავეს და გაისად I ჯგუფში ითამაშებენ.

III ჯგუფში პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები გაისად II ჯგუფში ითამაშებენ. ესენი არიან: ქარხანა „ცენტროლიტის“, ავტოკოლონა 2651-ის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობისა და თბილისის ავტოპროფილაქტორიუმის სამმართველოს კოლექტივები.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ საქალაქო ჩემპიონატში იკლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წესრიგი საერთოდ არ დარღვეულა. ფეხბურთის საქალაქო ფედერაციას განზრახული აქვს უხეშობის შემთხვევები მინიმუმამდე დაიყვანოს, კიდევ უფრო გააუმჯობესოს მსაჯთა მხრივ მატჩების მომსახურების ხარისხი. საქართველოს დედაქალაქის საფეხბურთო ცხოვრება მომავალში უფრო ინტენსიური უნდა გახდეს, მეტი მუშაობა გვმართებს ფეხბურთელთა კლასის ამაღლებისა და მომავალ ოსტატთა მომზადების საქმეში.

ი. გოჯორაძე,
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •



სურათზე: თბილისის ჩემპიონი — ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდი.

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზკულტურის ინსტიტუტი II | 24 | 16 | 5 | 3 | 53—28 | 37 |
| პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 24 | 14 | 4 | 6 | 43—24 | 32 |
| მწვრთნელთა სკოლა | 24 | 13 | 6 | 5 | 39—26 | 32 |
| მაუდ-კამვოლის კომბინატი | 24 | 13 | 5 | 6 | 58—49 | 31 |
| ყრუ-მუნჯთა საზ-ბა | 24 | 12 | 6 | 6 | 48—33 | 30 |
| სატელეგრაფო აპარატურის ქ-ნა | 24 | 11 | 5 | 8 | 34—33 | 27 |
| თბ. ელმავალსაშენი ქ-ნა | 24 | 12 | 2 | 10 | 47—32 | 26 |
| უნივერსიტეტი | 24 | 9 | 4 | 11 | 30—34 | 22 |
| არმიის სპორტული კლუბი | 24 | 7 | 5 | 12 | 17—19 | 19 |
| მს. ტაქსომოტორის № 3 კონტორა | 24 | 7 | 5 | 12 | 28—46 | 19 |
| სპორტკლუბი „უშბა“ | 24 | 4 | 7 | 13 | 30—45 | 15 |
| სამედიცინო ინსტიტუტი | 24 | 5 | 4 | 15 | 25—51 | 14 |
| ელექტროძრავის ქარხანა | 24 | 1 | 4 | 19 | 16—39 | 6 |

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დამხმარე მეურნეობათა კომბინატი | 12 | 10 | 0 | 2 | 46—10 | 20 |
| სატელეფონო ქსელის სამმართველო | 12 | 10 | 0 | 2 | 32—6 | 20 |
| მს. ტაქსომოტორის № 1 კონტორა | 12 | 5 | 0 | 7 | 18—38 | 10 |
| სპორტკლუბი „გამარჯვება“ | 12 | 4 | 0 | 8 | 13—10 | 8 |
| № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა | 12 | 4 | 0 | 8 | 16—16 | 8 |
| სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა | 12 | 4 | 0 | 8 | 17—44 | 8 |
| საექსპედიციო კონტორა | 12 | 3 | 0 | 9 | 12—28 | 6 |

### III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქარხანა „ცენტროლიტი“ | 14 | 11 | 0 | 3 | 43—9 | 22 |
| ავტოკოლონა 2651 | 14 | 9 | 2 | 3 | 28—13 | 20 |
| საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა | 14 | 8 | 2 | 4 | 35—32 | 18 |
| ავტოპროფილაქტორიუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 33—16 | 16 |
| სატელეფონო ქსელი-2 | 14 | 5 | 2 | 7 | 25—47 | 12 |
| გაზმოწყობილობის ქარხანა | 14 | 5 | 0 | 9 | 18—30 | 10 |
| საკავშირო ტელეფონმშენი | 14 | 2 | 2 | 10 | 13—28 | 6 |
| სალოკომოტივო დეპო | 14 | 1 | 4 | 9 | 16—38 | 6 |

# III ადგილზე

სიმფეროპოლი, 13 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშება.

ბოლო ტურის შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს უკრაინელმა ფეხბურთელებმა, დაამარცხეს საქართველოს გუნდი და I ადგილიც დაისაკუთრეს.

II ადგილზე გავიდა ბელორუსიის ნაკრები, III — საქართველოს კოლექტივი.

5:11 და 21:20

ნოვოვოლინსკი, 13 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ლუცკსა და ნოვოვოლინსკში თავი მოიყარეს საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების მონაწილე ხელბურთელებმა.

დაიწყო წინასწარი მატჩები. გუნდები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. I და II ჯგუფების ბინადარნი იასპარეზებენ ლუცკში, ხოლო III ჯგუფისა — ნოვოვოლინსკში.

I ჯგუფში თამაშობენ: რსფსრ-ს, ლიტვის, ყირგიზეთისა და მოლდოვეთის წარმომადგენლები, II — ესტონეთის, უკრაინის, ლატვიის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები, III — საქართველოს, ბელორუსიის, სომხეთისა და თურქმენეთის კოლექტივები.

ჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი ფინალში ითამაშებენ.

შეჯიბრების პირველი დღის შედეგები ასეთია: უკრაინა — ყაზახეთი 34:19, ლატვია — აზერბაიჯანი 26:26, სომხეთი — ბელორუსია 23:19.

საქართველოსა და თურქმენეთის ხელბურთელ ვაჟთა შეხვედრა მწვავედ და დრამატულად წარიმართა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა თამაში დუნედ და მოუნდომებლად დაიწყო, რისთვისაც დაისაჯა კიდეც: ანგარიშით 11:5 დაწინაურდნენ მეტოქენი.

შემდეგ ქართველმა ხელბურთელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და ჯერ ანგარიში გაქვითეს (20:20), მერე კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს — 21:20.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები გუნდი დაკომპლექტებულია პირველთანრიგოსნებით, ხოლო თურქმენეთის ნაკრებში გამოდიან სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები, რომლებიც „ა“ კლასის III ჯგუფის მეელი ბინადრები არიან.

ჯ. ენუქიძე.

# სცოდავდნენ მსაჯებიც, მონაწილენიც...

დამთავრდა თბილისის პირველობა ხელბურთში (7×7), რომელშიც ქალთა 9 და ვაჟთა 10 გუნდი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალები. 1. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი), 2. „განთიადი“ (მწვრთნელი ვ. არაქელოვი), 3. პედინსტიტუტი (მწვრთნელი ა. ბათმანოვი); ვაჟები. 1. უნივერსიტეტი (მწვრთნელი ჯ. აბშილავა). 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი (მწვრთნელი ჯ. ძაგანია), 3. „ლოკომოტივი“ (მწვრთნელი ა. ახვლედიანი).

პირველობას სერიოზული ხარვეზები ჰქონდა. თამაშები უხეიროდ ჩატარდა, რაც, პირველ ყოვლისა, მსაჯობის დაბალი დონით აიხსნება. ფაქტია, რომ ზოგიერთი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი (მაგალითად, ნ. ქართველიშვილი, მ. ციცქიშვილი, ნ. მანკოვსკი) რამდენიმე წელია თავს არიდებს ამ საქმეს. ამიტომ მსაჯობის მთელი ტვირთი დააწვათ... მონაწილეებსა და მათს მწვრთნელებს. ცხადია, ბევრჯერ მოედანზე ცხარე კამათი იწყებოდა. ყველას თავის სასარგებლოდ ესმოდა წესების ესა თუ ის მუხლი. იქნებ ამაში მეც ვარ დამნაშავე, როგორც ხელბურთის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საშველი არ დაადგა ხელბურთის თამაშის წესების გამოცემას ქართულ ენაზე, ეს წიგნი უნივერსიტეტის სტამბაში ჯერ კიდევ შარშანდელი ზამთრიდან ძევს.

შეცდომა იქნება ყველაფერი უხარისხო მსაჯობას დავაბრალოთ. მოთამაშეები ხშირად არღვევდნენ დისციპლინას.

თავიდან კარგად იყო ჩაფიქრებული, რომ პირველობის ტურები კვირაში ერთხელ გამართულიყო. ამით მოთამაშეებსა და მწვრთნელებს საშუალება მიეცემოდათ ანალიზი გაეკეთებინათ განვლილი მატჩებისთვის, ამასთან, დამატებით ევარჯიშათ და დიდი ხნით შეენარჩუნებინათ სპორტული ფორმა. მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა წლევანდელი მზიანი შემოდგომა ამის საშუალებას იძლეოდა.

ჯ. ძაგანია,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და ხელბურთის კათედრის მასწავლებელი.

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

### უნიკალური ღია ბარათი



ეს საფოსტო ბარათი (იგი ფერადია) 86 წლის მანდილოსნის თამარ სიმონის ასულ ამირეჯიბი-გაბაშვილის ოჯახში ინახება. იგი არა მარტო ამ ოჯახის, არამედ ჩვენი ერის მდიდარი სპორტული წარსულის ერთ-ერთი უნიკალური საბუთია. მასზე გამოსახულია თამარის მეუღლე, ტანვარჯიშის პირველი ქართველი მასწავლებელი იასონ ბესარიონის ძე გაბაშვილი. ღია ბარათი გამოშვებულია მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ და დედამიწის თითქმის ყველა ქვეყანაში იყიდებოდა.

ი. გაბაშვილის შესახებ მასალები გამოაქვეყნეს ვ. აფრიდონიძემ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. შერაზადიშვილმა. ამიტომ მის შესახებ ბევრი რამ უკვე ცნობილია მკითხველისთვის. მაგრამ დღემდე მისი ოჯახის გარდა ალბათ არავინ იცოდა გაბაშვილის ბიოგრაფიის ის საინტერესო დეტალები, რაც აღნიშნულ ღია ბარათთანაა დაკავშირებული.

იასონი ჯერ კიდევ 18 წლისა იყო, როცა 1886 წელს ლივადიაში (ყირიმი) წარუდგინეს მეფეს, როგორც საუკეთესო ფიზიკური და სულიერი თვისებებით დაჯილდოებული ახალგაზრდა. ქალბატონი თამარი ვარაუდობს, რომ ღია ბარათის გამოშვება შესაძლოა ამ ფაქტთანაა დაკავშირებული.

უფრო გვიან, 1891 წელს, ი. გაბაშვილი პეტერბურგშია ტანვარჯიშის მასწავლებელთა კურსებზე და მთელი ქალაქის ყურადღებას იპყრობს, როგორც საუკეთესო მსროლელი და მოვარჯიშე. როგორც მისი მეუღლე აღნიშნავს, უფრო საფიქრებელია, რომ მსოფლიო საფოსტო კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ეძებდნენ ქართველი მამაკაცის ტიპს, სწორედ აქ შეხვდნენ ი. გაბაშვილს და სურათის გადაღების ნებართვა სთხოვეს.

ღია ბარათზე თარიღი არ არის აღნიშნული, მხოლოდ ასეთი წარწერა აქვს: „გურული ეროვნულ ტანსაცმელში. თავადი გაბაევი".

ღია ბარათი ტანვარჯიშის პირველი ქართველი მასწავლებლის იასონ გაბაშვილის გამოსახულებით შევიდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმის ფონდში, რომლის ხელმძღვანელობაც დიდ მადლობას მოახსენებს ბარათის მფლობელს თამარ ამირეჯიბ-გაბაშვილს.

ა. ციბაძე.

## ახალი ამბები

● ბუდაპეშტი, 13 ნოემბერი. მაგიდის ჩოგბურთის უნგრელმა ოსტატებმა თავიანთ აქტივში ზედიზედ მეორე გამარჯვება ჩაიწერეს ევროპული ლიგის პირველობის გათამაშებაში — შინ ანგარიშით 6:1 დაამარცხეს ინგლისის ნაკრები. ინგლისელთა მარცხი ერთგვარად „შეარბილა" მხოლოდ დ. ნილმა, რომელმაც ერთეულ ვაჟთა თანრიგში სძლია ი. იონერს — 21:16, 21:17. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტ. კლამპარი — ნილი 21:17, 19:21, 21:16; იონერი — ჩ. ბარნსი 21:13, 21:18; კლამპარი — ბარნსი 21:19, 21:19; ბეატრის კიშხაზი — კარენცა მეტიუზი 21:11, 21:12; კლამპარი, იონერი — ბარნსი, ნილი 21:10, 21:19, იონერი, მახოში — ნილი, მეტიუზი 20:22, 21:14, 21:17.

## ოთხი ტურის შემდეგ

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ), ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — 3,5-3,5 ქულა, ვ. ულმანი (გდრ) — 2,5, ბ. ლარსენი (დანია), ე. გელერი (სსრ კავშირი) — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია, მ. ტაიმანოვი, ვ. სმისლოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. პორტიში (უნგრეთი), რ. ჰიუბნერი (გფრ), ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი (ორივე — იუგოსლავია), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 2-2.

ტურნირის მსაჯთა კოლეგიამ, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, გუშინწინ IV ტურის მაგიერ რატომღაც XXII ტურის შეხვედრები მოაწყო.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ლიდერთა შორის. ფიშერმა თეთრებით დალაშქრა მ. ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) პოზიცია და მესამე გამარჯვება იზეიმა. უიტუმენი შეხვდა გლიგორიჩს. მონღოლი მოჭადრაკე ყაიმს დასჯერდა. ლარსენს მეტოქეობდა ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი). მიუხედავად იმისა, რომ შავებით თამაშობდა, დანიელმა დიდოსტატმა შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და უპირატესობის მოპოვებაც. პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო პოლუგაევსკისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში. უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია გელერმა ფილიპინელ ს. ნარანხასთან.

ყაიმით დამთავრდა პორტიშ — მეკინგის, ულმან — სმისლოვის, ივკოვ — მ. მატულოვიჩის (იუგოსლავია) და ტაიმანოვ — ჰიუბნერის შეხვედრები.

პირველ სამ ტურში გადადებული სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ო. პანო — ა. რუბინეტი (ორივე — არგენტინა) 0,5:0,5, მატულოვიჩი — ხიმენესი (კუბა) 0,5:0,5, რუბინეტი — ს. რეშევსკი (აშშ) 0,5:0,5, გლიგორიჩი — ტ. სათლზი (კანადა) 1:0, სათლზი — უ. ადისონი (აშშ) 1:0, ფილიპი — ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) 0,5:0,5.

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

### დიდი რუსი მოჭადრაკის პატივსაცემად

გატჩინა (ლენინგრადის ოლქი), 13 ნოემბერი. გუშინ საშუალო სკოლა-ინტერნატის შენობაზე, სადაც დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე გატჩინის ობლების ინსტიტუტი იყო მოთავსებული, მემორიალური დაფა გაიხსნა.

დაფაზე ამოკვეთილია: „1959-1868 წლებში ამ შენობაში სწავლობდა დიდი რუსი მოჭადრაკე, სამამულო საჭადრაკო სკოლის ფუძემდებელი მიხეილ ივანეს ძე ჩიგორინი, გატჩინის მკვიდრი".

რედაქტორი შ. პაპაბაძე.

### დ ღ ე ს

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეატრალურ დარბაზში იწყება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინისტური ფილმების კვირეული.

დასაწყისი 10 საათზე.

### „ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის ქ. № 74)

### ფეხბურთი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი.

15 ნოემბერი

საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები — „დინამო" (სათადარიგო შემადგენლობა)

17 ნოემბერი

„ბ" კლასის I ნაკრები — „ბ" კლასის II ნაკრები.

მატჩების დასაწყისი 13 ს.

### თბილისის სპორტული [illegible]

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის" სტადიონი. დღეს: თბილისისა და ერევნის განათლების განყოფილებების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელთა მატჩი. დასაწყისი 10 ს. 30 წ.

კრივი. ცირკი. 17 ნოემბერი. თბილისისა და დონის როსტოვის გუნდების ამხანაგური შეხვედრა. დასაწყისი 19 ს.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

### გოლმით სავსე მაკ-ბრიდი

როდესაც ორი წლის წინ „სელტიკმა" ახალგაზრდა თავდამსხმელი მაკ-ბრიდი 9.000 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა „ჰიბერნიენს", ამ ფეხბურთელმა დაიფიცა სამაგიეროს გადაეხადა უმადური კლუბისთვის.

ამას წინათ შოტლანდიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ჰიბერნიენი" და „სელტიკი". მატჩი საკმაოდ მოულოდნელად მოიგო „ჰიბერნიენმა" ანგარიშით 2:0, ამასთან „სელტიკის" კარში ორივე ბურთი მაკ-ბრიდმა გაიტანა.

● ●

### ჯურკოვიჩის რეკორდი და მისი „მეტოქეები"

ბელგრადის „პარტიზანისა" და იუგოსლავიის ნაკრების მეკარე ჯურკოვიჩმა თავისებური რეკორდი დაამყარა: ეროვნულ ჩემპიონატში 720 წუთის მანძილზე არ გაუშვა არც ერთი გოლი! ასეთი მიღწევა ბოლო წლებში სხვა ევროპელ მეკარეს არა ჰქონია.

მაგრამ ის, რაც ევროპელ მეკარეთათვის მიღწევაა, დიდი ამბავი როდია სამხრეთ ამერიკაში. ჯურკოვიჩზე უკეთესი შედეგი სამ სამხრეთამერიკელ მეკარეს აქვს: რომას („ბოკა ხუნიორსი"), მაზურკევიჩს („პენიაროლი") და რაულს („კრუზეირო").

რაულმა თავისი კარი „მშრალად" შეინახა 1027 წუთის მანძილზე!

● ●

### მწვრთნელი ტოვებს სტადიონს

ცნობილ ავსტრიელ მწვრთნელ მ. მერკელს, რომელმაც სახელი გაითქვა გფრ-ის სხვადასხვა კლუბში მუშაობით, ხშირად ადარებენ ელ. ერერას. მხედველობაში აქვთ არა მარტო ამ მწვრთნელთა დიდი წარმატებები, არამედ თავშეუკავებელი ხასიათიც.

მერკელი ამჟამად ესპანეთის კლუბ „სევილიას" უდგას სათავეში. ადრე „სევილია" შედარებით უმნიშვნელო კლუბი იყო, ახლა კი ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა მერკელის დამსახურებაა.

ამასთან ერთად, მერკელი დროდადრო პრესის ფურცლებზე ხვდება თავისი ახირებული ხასიათის გამოც. ამას წინათ მისი გუნდი კადიქსის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. იქ „სევილიამ" არ გაამართლა თავისი მწვრთნელის იმედი: იგი აგებდა ერთ-ერთ მატჩს ანგარიშით 0:2, თამაშის დამთავრებას კი 5 წუთი აკლდა. მერკელი ადგილიდან წამოიჭრა და სევილიაში ისე დაბრუნდა, არც დაუცადა თავის ფეხბურთელებს.

● ●

### „კრუს ასული" — მექსიკის ჩემპიონი

დამთავრდა მექსიკის ჩემპიონატი ფეხბურთში. I ადგილი დაიკავა ცნობილმა კლუბმა „კრუს ასულმა", რომლის მოთამაშეთა დიდი რაოდენობა ეროვნულ ნაკრებში შედის.

● ●

### ტურნეც ამას ჰქვია!

ავსტრალიის ნაკრებმა დაიწყო ექსკლუზიური ტურნე, რომლის განმავლობაში იგი 16 ამხანაგურ მატჩს გამართავს. ავსტრალიელები იმოგზაურებენ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და მექსიკაში.

● ●

### ბურთების შეფარდებით

მოხდა ისე, რომ დანიის ჩემპიონატში „ფინიშის ხაზთან" ქულათა ერთნაირი რაოდენობით მივიდა ორი წამყვანი კლუბი: „ბ 1903 კოპენჰაგენი" და „ბბ კოპენჰაგენი".

სხვა ქვეყნებში ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მატჩი იმართება ხოლმე, დანიაში კი, დებულების თანახმად, საკითხს ბურთების შეფარდება წყვეტს. სწორედ ამ მაჩვენებლით ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა „ბ 1903 კოპენჰაგენმა".

● ●

### სარეკორდო თანხა

„ევერტონმა" 160 ათასი გირვანქა სტერლინგი (სარეკორდო თანხა) გადაუხადა „ნოტინჰემ ფორესტს" ახალგაზრდა ნახევარმცველ ნიუტონში (არ აურიოთ ნაკრების მცველ ნიუტონში), რომელიც ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ამ თანხის გარდა, „ევერტონმა" „ნოტინჰემ ფორესტს" დამატებით გადასცა ირლანდიელი ფეხბურთელი კონსონი.

აქამდე სარეკორდო თანხა გადახდილი იყო პიტერსში („ვესტ ჰემ იუნაიტედიდან" გადავიდა „ტოტენჰემ ჰოტსპურში") და კლარკში (იგი „ლესტერ სიტიდან" გადავიდა „ლიდს იუნაიტედში").

● ●

### „პშეგლონდ სპორტოვის" საინტერესო წინადადება

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილეთა შემადგენლობა თავისი სიძლიერით ადრე უდავოდ აღემატებოდა თასების მფლობელთა თასის შემადგენლობას, მაგრამ წლეულს ისე მოხდა, რომ ძნელია გადაჭრით თქმა, სად უფრო ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს ვარშავის გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის" წინადადება: ამიერიდან მოეწყოს მატჩები ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდსა და თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში გამარჯვებულს შორის.

### ასე დაწყვილდნენ...

ხელბურთელ ვაჟთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების კენჭისყრამ (დორტმუნდი) თასის ამჟამინდელ მფლობელს — ქუმერსბახის ვფლ-ს (გფრ) საპირფათო მეტოქე შეახვედრა თანამემამულეთა სახით — გფრ-ის ჩემპიონი — გიოპინგენის გუნდი.

დანარჩენი მოასპარეზენი ასე დაწყვილდნენ: პრაღის „დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — კოპენჰაგენის ხგ (დანია), ბუქარესტის „სტიაუა" (რუმინეთი) — სტოკჰოლმის „ხელასი" (შვეცია), „ჰაპოელი" (ისრაელი) — ბელგრადის „პარტიზანი" (იუგოსლავია), „სიტარდია" (ჰოლანდია) — „მაგდებურგი" (გდრ), ბარსელონის „გრამოლერსი" (ესპანეთი) — პარიზის „ივრი" (საფრანგეთი), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი (სსრ კავშირი) — ლისაბონის „სპორტინგი" (პორტუგალია).




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6! უე 10601